| გაზეთი ღირს: | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი


ტფილისი, 17 მაისს

„ივერიის“ № 104-ში მოხსენებული იყო ერთი სამწუხარო ამბავი. ცხვარი მთიდგნილი გაჩეიოდამ და, როცა ორხევთან მიუტანებიათ, მწყემსებს გზის საბაჟოს მიერ გზატკეცილიდამ გადუხვევიათ და ცხვარი მინდორ-მინდორ გაურეკიათ. იმ ხანებში დიდის წვიმების გამო საშინელი ნიაღვრები მოვარდნილა ხევებსა და ხრამებში. ერთს ამისთანა ხრამ-ხევს მისდგომია ცხვარი და რაკი ერთი ცხვარი გადამხტარა, დანარჩენებიც თან გადაჰყოლიან და დამრჩვალან და გაწყვეტილან. ვიდრე ხრამი ძირიდამ თხემამდე არ ამოვსილა დახოცილის ცხვრებით, იმ დრომდე თურმე ცხვარი ცვივოდა და იღუპებოდა და როცა ამოვსილა, დანარჩენს ცხვარს ზედ გადუვლია და გადურჩენილა. უბედურს ცხვრის პატრონებს 25,000 ცხვრიდამ მარტო 10,000-და შერჩენიათ. თუ ეს ამბავი მართალია, ამჯარაა, რომ ამ უბედურების ასცდებოდა ცხვარი, თუ გზა-ტკეცილზედ ეარა. რა მიზეზია, რომ მწყემსები მოჰრიდებიან გზა-ტკეცილს?

იტყვიან ზოგიერთნი, რომ ახალ მისვლიათო, ორირაღ გრიშ საბაჟო გადასახადს შეუშინდებინე და იმიტომა ცხვარი კი დაუყენებიათ. შეიძლება ნაწილი იქნებოდესო, ამით ჩვენს ისმენდილისა. თქმა აღარაა, მაგრამ კაცი კი რომ თვითონ საქმეს დაუკვირდეს, აქ ორირაღ გრიშის გადასახადის შიში კი არ დაინახავს, არამედ სხვას უფრო პატივ-სადების მიზეზს, რომელსაც უთუოდ ჩვენი გლეხ-კაცი უფროხის და ერიდება. ჩვენებურ გლეხ-კაცს ისე გადასახადი არ აშინებს, როგორც თვითონ გადასახადის პროცესი. ცხვარი საბაჟოს რომ მოადგება, უნდა გაჩერდეს, ვიდრე მოხელენი ადგილიდამ დაიძვრიან, მოისურვებენ ფორმალობის ასრულებას, ფულის გამორთმევას და კვიტანციების მიცემას. ხშირად ვყოფილვართ მოწამენი, რომ მთელის საათობით იცდის საწყალი მეურმე საბაჟოს წინ, ვიდრე ერთს აბაზს, თუ მეტს გამოართმევენ და კვიტანციას ჩააბარებენ. თუ მარტო ერთის მეურმის გასტუმრებას მთელს საათებს ანდომებენ ხოლმე საბაჟოს მოხელენი, წარმოიდგინეთ რამოდენა ხანს მოანდომებენ 20,000 და 25,000 ცხვარსა. ზოგიერთი მოხელე რომ გაჭირვეულდეს, კანონიერი საბუთი ექმნება ამოდენა ცხვარი თუნდ სამ-ოთხს დღეს საბაჟოს წინ დააბრკოლოს. აი ამ დაყოვნების და გაჩერების შიში აქვთ მემცხვარეებს, როცა სცდილობენ მოერიდონ საბაჟოსა. ცხვრის დაყოვნება და გაჩერება ისე ეძნელებათ მწყემსებსა, რომ ისევ განსაცდელს ჰრჩეობენ, რომელიც სათუოა და ათასში ერთხელ მოხდება, ვიდრე ამ გაჭიანურებას საქმისას და დაყოვნებასა, რომელიც აუცილებელია და უეჭველად მოსახდენი.

ვინც ცხვრის ამბავი იცის, იმას, რასაკვირველია, ისიც ეცოდინება, რა მძიმე რამ არის ცხვრისათვის სიცხე-პაპანაქებაში უადგილო-ადგილას დიდხანს დგომა უჭმელ-უსმელად. გარდა ამისა დიდხანს დგომა ცხვრისა სხვის მამულში ხარჯს ითხოვს და რაკი საბაჟოს გამო ეგ დგომა ძალა-უნებურია, მემამულენი ამით სარგებლობენ და ზოგჯერ იმოდენა ხარჯსა სთხოვენ, რომ დაუჯერებელია ხოლმე. ყოველივე ეს პატივ-სადები მიზეზია მისი, რომ ამით შეშინებულნი მწყემსნი გზა-ტკეცილებს და საბაჟოებს ერიდებიან და უგზო-უკვლოდ რჩეობენ სვლასა. ამისთანა სამწუხარო ყოფას ცხვრისა და საქონლის პატრონებისას წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ შენახვა და პატრონობა ერთისაც და მეორისაც მეტად გაძნელდება და ხალხს, რომელიც ცხვრითა და საქონლით უძღვება საკუთარს ხარჯს, სოფლისას და სახელმწიფოისას, ერთი უმთავრესი წყარო მოაკლდება: თვითონაც კერძოდ დაზარალდება და სახელმწიფოსაც დააზარალებს, რადგანაც გადასახადს ვეღარ გადაუხდის უქონლობისა გამო.

სანატრელია, რომ მთავრობამ ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, წესი ბაჟის გადახდევინებისა ცხვრის გატარებისათვის განამარტივოს იმ ანგარიშით, რომ არც უსამართლობა რამ მიაყენონ მწყემსა, არც დრო დააკარგვინონ გზის ბაჟის გამორთმევაში და არც ცხვარი დააბრკოლონ დიდხანს ერთს ადგილას. ჩვენის ფიქრით კი ბევრი არა დააკლდება-რა საბაჟოსა, რომ ცხვარმა გზა-ტკეცილებზედ უბაჟოდ იაროს. ეს ხალხს, ცხვრის მოშენების მიმდევარს, დიდს შეღავათს მისცემს, ამ სასარგებლო პირუტყვის გამრავლებას ძლიერ ხელს შეუწყობს და მრავალს კაცს სახსარს მისცემს ცხოვრებისას. ქვეყანა ქონებით მოღონიერდება, გაკეთდება, რადგანაც ცხვრის ყოლა ჩვენში ახალი ამბავი არ არის და ხვნა-თესვისა და ვენახობის მერმედ ერთს უმთავრესს წყაროდ ცხოვრებისად მიაჩნია ჩვენებურს კაცსა. ცხვარი ძალიან უყვარს აქაურს ხალხსა და ერთი კაციც არ მოიპოვება ჩვენში, რომ ცხვრის ყოლა ნატვრად არა ჰქონდეს გადაქცეული.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას საბჭოში შეუტანია წინადადება მუხრანის ხიდის აგებისა იმ პროექტით, რომელიც ინჟინერმა ლორმანმა შეადგინა ქალაქის მინდობილობითა, ეს ხიდი 125,000 მანათზე მეტი არ დაჯდებაო. ამ წინადადებას განიხილავენ ორშაბათს, 19 მაისს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობასვე შეუდგენია პროექტი ახალის საყასბოსი, რომელიც მირზოევის ქარხნის გვერდზედ უნდათ გამართონ და ამისთვის მიწა თვით ბბ. მირზოევებისაგან იყიდონ. თუმცა ამ პროექტითა საყასბო დიდი არ იქნება, მაგრამ ყოველაფრით მოწყობილი-კი—სანიტარულისა და ჰიგიენურის მხრით. ანგარიშით, ამ საყასბოს გამართვა 73,000 დაჯდებაო. ეს საგანიც ორშაბათს, 19 მაისს გაირჩევა.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ აგერ ოცი წელიწადია მას აქედ, რაც დაარსდა ტფილისის ხელოსნების გამგეობა და ჯერ ამ გამგეობამ თავისთვის ერთი სადგომი ვერ შეიძინა და იძულებულია სხვას ქირა აძლიოს. ამის მოხერხება-კი ადვილი იყო, რადგანაც ამ გამგეობას იმდენი შეძლება ჰქონდა, რომ შეეძლო სახლი ეყიდნაო. ამის მიზეზი, რასაკვირველია, თვით უსტაბაშების უთაურობაა და სხვა არაფერი.

აგერ ორი თთვეა ბრძანება მოუვიდა გუბერნატორისაგან გამგეობას უსტაბაშების არჩევისა, მაგრამ ჯერ სამი-ოთხი უსტაბაშის მეტი არ ამოურჩევიათ, რად აგვიანებს ესე ბ-ნი ხელოსნების თავი უსტაბაშების არჩევას, რა მიზეზია, კარგი იქნებოდა გაგვეგოო.

*** სომხურის დრამატიულის დასის ანტრეპრენიორებად ყოფნის სურვილი მერმისს ი. ფითოევსა და მანთაშოევს გამოუცხადებიათ. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ამ პირებს შეუძლიანთ ყოველივე თეატრის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. ვის არ ახსოვს სომხურის თეატრის საქმე რა მშვენივრად და რიგზე მიდიოდა ამატუნის ხელში, თუ ჩვეულებრივს აქტიორების რაღაცა ხრიკებს არ დაეშალა ეს დასი. ყოველთვის ექმნება თეატრს ხარჯის დასაფარავი შემოსავალი, თუ ამ თავით ზედ ფულს დახარჯავენ, რიგიანს წარმოდგენებს გამართავენ და ხალხს მიიზიდავენ. ამ საქმისთვის, როგორც გვესმის, ეხლავე გადადებული 30,000 მანათიო.

ამ ახლად ამორჩეულ სომხურს დრამატიულს კომიტეტს უკვე მოლაპარაკება დაუწყვია კონსტანტინეპოლის არტისტებთან მერმისის სეზონში ტფილისში ჩამოსვლისა და თამაშობის შესახებ. განზრახვა აქვთ მოიწვიონ: ქ-ნი ვ. კარაკაშიანი, სატინიკ ეკიმიანი და ბ-ნი მნაკეანი.

*** არტისტი ადამიანი ამ დღეებში ტფილისიდგან ვლადიკავკავში მიემგზავრება წარმოდგენების გასამართავად. იქიდგან აპირობს როსტოვში, კრიმში და შუა-გულ რუსეთში წასვლას. მას თან მიჰყვებიან სომხურის დასის არტისტები ქ-ნი ზაბელი და ვარდუი, ბბ. ალაიანი, პარონ-სარქისიანი, ვრუირი და ცოვიანიანი.

*** 26 მაისს სამეურნეო საზოგადოებას მორიგი კრება აქვს დანიშნული. ამ კრებაზედ იქნება გარჩეული ვ. ა. დინგელშტის წინადადება მერმის ტფილისში სამეურნეო გამოფენის შესახებ. კარგი იქნებოდა, რომ სჯა გამოფენის სასარგებლოდ დაბოლოვდეს, რადგანაც ჩვენის მეურნეობას ამ გამოფენა მეტად ესაჭიროება.

## ფელეტონი

### ქალის მშვენიერების იდეალი

ქართულს საერო ლექსებში.

საზოგადოდ საერო პოეზიის მნიშვნელობა ერის გონებრივის ცხოვრების გაცნობისათვის, შესწავლისათვის ყველა განათლებულ ხალხის ლიტერატურაში აღიარებულია; კერძოდ ჩვენ-ჩვენი საერო პოეზიის მნიშვნელობაზედ, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამავე გაზეთის შემწეობით ორიოდე სიტყვა გამოვსთქვით. ამ ჟამად ჩვენ სახეში არა გვაქვს ვიქონიოთ საზოგადო მსჯელობა საერო პოეზიაზედ: ჩვენ პირ-და-პირ შევუდგებით იმ საგნის გამოკვლევას, რომელიც სათაურში უკვე დავასახელეთ.

ვისაც ჰსურს რომელისამე ერის ცხოვრების ყოველ-მხრივი, ზედ-მიწევნითი ცნობა, სხვათა შორის, რასაკვირველია, არას გზით არ უნდა მიატოვოს, დააგდოს უყურადღებოდ ის საგანი, რომელსაც სახელად საერო პოეზიას უწოდებენ. მართლაც, თუ კი ჩვენ ასე გულ-მოდგინედ ვსცდილობთ ერის ფიზიონომია წარმოვიდგინოთ, დავიხატოთ რაღაცა ლოდის ან აგურის ნამტვრევების შემწეობით, რომელზედაც ორ-ნახევარი ლურსმებრივი ასო ამჩნევია; თუ კი ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ უძველესის ტაძრის ანუ კოშკის ნანგრევის საცოდავს ნაშთზე შეგვიძლიან ამოვიკითხოთ რამე ერის ხელოვნებისა და გემოვნების შესახებ, მის გონებრივის ძალ-ღონის თაობაზედ,— ნუ თუ საერო პოეზიას—ამ ერის ცოცხალ მატიანეს, არ შეუძლიან დაახლოვებით მაინც მოგვითხრას, გაგვაცნოს, დაგვანახოს ერის გონებრივი და ზნეობრივი ავლა-დიდება!? როგორც წინადაც ვსთქვით, საერო პოეზია ერს მარტო გასართობ სახსრად კი არ უხმარია, არამედ მასში გამოუთქვამს, დაუხატავს, სრული თვისი არსება: ჩვენ მის შემწეობით შეგვიძლიან ვსცნათ, რომელ ჟამს საით ყოფილა მიმართული ერის გონება, სადამდის მიუღწევია მის სიღრმე-სიმაღლეს, გამჭრიახობას; რა ჰქონია ერს სავალალო საგნად გარდაქცეული; რა იყო მისი რწმენა, ჭირი, ლხინი, ავი, კარგი, ზნე, ჩვეულება და მებრვე სხვა.

თუ ეს ასეა, თუ კი მართლა საერო პოეზიას ძალ-უძს დაგვანახოს ერის გონება, ზნე, რწმენა, გემოვნება, მაშ მისი შესწავლა, გამოკვლევა არამც თუ საჭირო ყოფილა, არამედ სავალდებულოც; ნამეტნავად ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომელთაც სრულიადაც არ შეგვიძლიან თავი მოვიწონოთ ჩვენის ერის ცხოვრების ცოდნით.

შეიძლება გამკიცხონ: გამოსაკვლევად რაღა ქალის მშვენიერება აიღე და არა ამაზედ უფრო სხვა მაღალმნიშვნელოვანი საგანიო? მე მწამს, რომ ჩვენს საერო პოეზიაში არჩეულ საგანზედ ურიცხვი უფრო მაღალმნიშვნელოვანი მოიპოვება; მაგრამ მე ისეთს საგანს მოვკიდე ხელი, რომლის გამოსაკვლევადაც ჩემს ხელში შედარებით უფრო საკმაო მასალა მოიპოვებოდა. თქვენი უმორჩილესი მონა განუსაზღვრელად მოხარული და სრულიად დაკმაყოფილებული იქნება, თუ ეს ჭეშმარიტად სუსტი ნაბიჯი გამოიწვევს ჩვენში ვრცელს, გონივრულს და უფრო განმარტებულს შრომას.

ყველაზედ მეტი ადგილი ჩვენს საერო პოეზიაში ლექსებს უჭირავს. პირველს დაკვირვებასათანავე კაცი შეატყობს, რომ ლექსების მომეტებულ ნაწილს თავის საგნად მშვენიერის ქალისადმი სიყვარული, არშიყობა, ტრფიალება აქვს. ზის ქართველი გლეხი კაცი თავის მამა-პაპურ ურმის კოფაზედ და მარტოდ-მარტო ბნელს ღამეს მიემგზავრება შორს გზას, თუ იგი ივლისის დღის სიცხე-პაპანაქებაში წელში მოხრილი, თავ-ჩაღუნული მკის ყანას, ანუ დაღალულ-დაქანცული სდგას კევრზედ და კალოსა ჰლეწავს, ანუ სთოხნის რასმეს, ჰმარგლავს, ჰკრეფავს, ანუ სწურავს ყურძენს,—სულ ღიღინებს, სულ სატრფოს უმღერის, მშვენიერს ეალერსება.

სტირის იგი სიყვარულისაგან დაპყრობილს, დაჩაგრულს თავის თავს და ევედრება სატრფოს აპატიოს ყოველი თავ-ხედობა, რომელიც მის გატაცებულს, გრძნობისაგან დაბნედილს გულს ადვილად შეუძლიან ჩაიდინოს:

თუნდ ასე სთქვა, თუნდა ისე,—
ღამე მაინც ბნელიაო;

ბატონების სამყურნო გამოფენა ტფილისის ვაჭრობას გააძლიერებდა და გააცოცხლებდა.

*** 14 მაისს, საღამოს 3 საათზედ «აბანოების კართან» ვილაც, თათრები სადირ-მახმუდ-ოღლი და ისუფ-მაშადი-ბალირ-ოღლი ქეიფობდნენ და გაჰქონდათ თურმე ერთი ღრიანცელი. რამდენი არ უშალეს პოლიციის მოხელეებმა, არ დაიშალეს, ბოლოს პოლიციის მოხელემ დაეიდოემა განიზრახა პოლიციაში წაეყვანა მოქეიფენი მშვიდობიანობის დარღვევის გამო, მაგრამ თათრები გაუძალიანდნენ და დიდი სამზარეულო დანები მოუღერეს თურმე დასაკრავად. დაეიდოემა დროზედ მოასწრო, ხელები გადუგრიხა და დანები წაართო. ბოლოს თათრები დაიჭირეს და ეს საქმე პროკურორს გარდასცეს.

*** ორთაჭალაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნამამულარს გვერდზე მშვენიერი განიერი „უსახელო" ქუჩა იყო გაყვანილი და ორი-სამი ფაეტონი ადვილად უქცევდა ერთი-ერთმანეთს გზას. ეს ქუჩა კრწანისის ქუჩას შეეხრებოდა. ეხლა-კი ისე გააფუჭეს, რომ ამ ქუჩაზედ ფეხით სიარულიც კი აღარ შეიძლება თურმე. ამ მხარეზე კიდევ ბევრია მიწები, რომელიც ეხლა იჯარითა აქვს აღებული მიკიტანს არუთინოვს და შენობის ქვას აჭრევინებს. ქალაქის მოურავობაა, რომ ამას თვალ-ყური ადევნოს და უბრალოდ არ გააფუჭებინოს მზად გაყვანილი ქუჩა, თორემ შემდეგ მისი ხელ-მეორედ გაყვანა საწყალ მცხოვრებლებს დააწვება კისერზე და უპატრონობით გაფუჭებული საქმე, იმად უნდა გააკეთონ და მის გაკეთებაში წელი იწყვიტონ.

*** ჩვენა გვწერენ, რომ ქიზიყის სოფლები: ვაქირი, მაშნაარი, საქობო და მათზე ახლო-მახლო მდებარე ადგილები სულ ერთიანად დასეტყვილაო. ამის გამო მეტად დაღონებულნი არიან თურმე იქაური მცხოვრებლები. მწვანით შემოსილი ხე-ვაზები წამურულსავითა დგანანო.

*** ყვირილიდამ გვწერენ, ცოფიანის ძაღლისაგან ნაკბენი ფრანცუზი ამალრიკი, რომელიც მოსარჩენად პასტერთან გაემგზავრა, ამ დღეებში დაბრუნდა ჯან-მრთელიო. იმავე დღეს და იმავე ძაღლმა ერთი ყმაწვილიც დაგლიჯა. ამ ყმაწვილს აქვე უწამლეს და, როგორც გავიგე, მორჩენილაო. ასე უნდა ვიფიქროთ, რომ ან ძაღლი ცოფიანი არა ყოფილა, ან ცოფის მორჩენა აქაც შესძლებიათო.

*** სომხური გაზეთი „ნორ-დარი" სწერს, რომ მათი უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პავლე, ერევნის გუბერნიის ეკკლესიების დათვალიერების დროს, ეჩმიაძინშიაც ბრძანებულაო. დიდის ამბითა და პატივით მიიღო თურმე იქაურმა სამღვდელოებამ და პატრიარხმა კათალიკოსს მაკარიმა. ეს პირველი შემთხვევაა ეგზარხოსისაგან ეჩმიაძინის ნახვისაო.

*** დუშეთის მაზრიდგან იწერებიან, რომ 7 მაისს სოფ. წილკანში სეტყვა მოვიდა და სულ გაანადგურა ყანები და ვენახებიო; ესევე მოხდა ამავე დუშეთის მაზრის სოფ. ფრეზეთშიაცაო. იქ მოსავლის გარდა სეტყვამ დახოცა 360 ცხვარი, 22 სხვილი საქონელი, ოცი ღორი და შინაურს ფრინველს ხომ ვილა მოსთვლისო. ამ სეტყვამ მეტის-მეტი ზარალი მოუტანა მცხოვრებლებსაო, („ახ. მიმოხ.")

*** 15 მაისს ღამეს სურბ-კარაპეტის ხევში, არსენალის ახლო დაინგრა ტფილისის მოქალაქის სარქის ალავერდოვის სახლები, პოლიციამ რის წვალებით გამოიყვანა ქვეშ მოყოლილი მდგმურები.

## დამაკვირდი!

თვით სათნოებაც კი ვერ ასცილდება შხამსა ცილის-წამებისას. (შექსპირი)

—

გონიოსნისათვის მარტო ერთად-ერთი წიგნია და იგი წიგნი ბუნებაა. (დე ხომეკო)

—

უჭკუო სილამაზე ყვავილია, თავის შტოს მოშორებული. (ბუასტი)

—

ხვალე არის მჭამს ვით ღამეში
მაცდური სხივი!..
ვინ ჰსთქვას: ხვალეცა ვიქნები მე
ვით დღეს ბედნიერ!..
(თ. გრ. ორბელიანი)

—

მოსვენებისა მდომელმან
თავი ვერ ოდეს იქოსა.
(მეფე ვახტანგ VI)

—

კაცი სიცოთვის მავარჯელი
სჯობს ბრძენსა სიბრძნის მავარჯელსა.
(ბრძნ. მეფე)

## სახელდახელოდ

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბები)

დიდებული მწერალი მით არის დიდებული, რომ მისი ნაწარმოები არაოდეს არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და მისი ტიპები ყოველს დროს და ყოველს ხალხში სამუდამოდ რჩებიან გადაუშენებლად. ამის დასამტკიცებლად—თუ ამ გვარ ჭეშმარიტებასაც დამტკიცება სჭირია,—საკმაოა მივიხედ-მოვიხედოთ ირგვლივ და ცნობის-მოყვარე თვალით დავაკვირდეთ იმ ხალხს, რომელიც გარს გვახვევია მუდამ დღე. ღმერთო ჩემო! ვის არ ვნახავთ ჩვენ შორის, ვის არ შევნიშნავთ ჩვენს გვერდით?! აი დონ-კიხოტი, დაუვიწყარი გმირი ლამანჩისა, აი მისი საჭურვლის მზიდველი სანხო-პანჩო, აი მათი ნათესავი ტარასკონელი ტარტარენი, აი მთელი გროვა გმირებისა, რომელთ სახელი უკვდავ-ჰყო სახელ-განთქმულის გოგოლის უკვდავმა ნიჭმა. ნათლად, როგორც ცოცხალნი, მოსჩანან ყველა ეს ნოზდროვები, მანილოვები, სობაკევიჩები, ხლესტაკოვები და სხვანი მრავალნი, რომელთ შორის ხან მოწყენილის და ხან მოჩვენებულის დიდებით აღფრთოვანებული სდგახარ შენც, საბრალო პოპრიშჩინო, დიდებულო, მაგრამ ტყუილო ფერდინანდო VIII, კოროლო ისპანიისავ!..

***

კოროლი ვარ ისპანიისა!—წარმოიდგინა ქუდზედ შემცდარმა პოპრიშჩინმა!... მაგრამ არა, ჩვენთვის უკვე ცხადია, რომ შენ, პოპრიშჩინო, უარ-ჰყავი ტახტი და შეუდგი სხვა გზას, სხვა გვარს მოღვაწეობას. მას აქედ, რაც «დიდმა ინკვიზიტორმა», შენი მოსარჩლე «გრანდების» თანადასწრებით, გადაგპარსა თავი და შეუბრალებლად გასხა ზედ ცივი წყალი,—შენ ვეღარ აიტანე ეს დამცირება შენსავე საკუთარს სამეფოში და გადმოსახლდი ჩვენში, რომ მოჩვენებული ტახტი შესცვალო მოჩვენებულს დაფნის გვირგვინზე, სკიპტრა—კალამზე, და მით ერთხელ დაკარგული დიდება კვლავ მოიხვეჭო ქართულის მწერალის სახელითა... დიახ, პატივცემულო მკითხველო, ჩვენშიაც არიან დღეს იმისთანა მბრაჯვენელნი, რომელთაც იმავე მიზეზით წარმოუდგენიათ მწერალნი ვართო, რა მიზეზითაც პოპრიშჩინმა წარმოიდგინა ისპანიის კოროლობა... თუ ვინმემ თქვენგანმა ეჭვი შემოიტანა ამ ჩემს სიტყვებში, ჩემთვის საკმაოა მივუთითო მას ერთს ახალს ქართულს წიგნაკზე, რომელსაც აწერია «მთა-წმინდელის» სახელი.

***

— რას შეიცავს ეს ახირებული წიგნი? იკითხავს მკითხველი.

— არაფერს და ყოველისფერს, როგორც «შეშლილის წერილები»... ამ უკანასკნელში, როგორც მოგეხსენებათ, პოპრიშჩინი ჰლაპარაკობს თავის თავზე, თავის „ნაჩალნიკზე და დეპარტამენტზე", თავის სიყვარულზე და კოროლობაზე, გრანდებზე, ძაღლების მუსაიფზე, ინკვიზიტორზე, დედაზე, ალჟირის ბეის ცხვირზე და სხვაზე. ზ. მთაწმინდელს ჟინი ლაპარაკისა აშლია და ორთა პოეტთა—ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიაზე ჰლაპარაკობს, მაგრამ ლაგამ აყრილ ფანტაზიას გაუტაცნია და იგი ებაასება მკითხველებს ყველაზე და ყოველისფერზე, ვისზედაც და რაზედაც კი გაუგონია რამ და რისათვისაც ყური სადმე მოუკრავს. აქ ყველა და ყოველისფერი არეულია დომხალისავით: ირაკლი მეფე, მისი მემკვიდრენი, იმერეთი, ქართლი, ჩვენი ძველი და ახალი მწერლები, ბიუხნერი, მოლეშოტი, ანტონ ფურცელაძე, „ანტროპოლოგიურის პრინციპების დამწერი", ზაქარია ჭიჭინაძე, პრუდონი, რენანი, კეზელი, რუსსო, კანტი, კონტი, ადამ სმიტი, სოლოგუბი, პისარევი,—მისი ამრევი,—ბოკლი, დრეპერი, დარვინი, ზ. მთაწმინდელი, ზ. მთაწმინდელი, კიდევ ზ. მთაწმინდელი, ოხრახუში, პრასა, კერესელიძე, ნიახური, «დანოსი», პოეზია და სხვა-და-სხვა,—ესენი ყველანი ერთი მეორეს მისდევენ და ეჯახებიან ამ საოცარს „თხზულებაში". ამისათვის წიგნაკის მთელი შინაარსის გადმოცემა ისეთივე ძნელი საქმეა, როგორც ბედლამის მცხოვრებელთა აზრების გამოკვლევა. ნულარას ვიტყვით მაშასადამე თვით „ბიოგრაფიაზე", რომლის მაგიერ წიგნში, ვიმეორებ, რაღაც უგონო და ალაგ მწვირიანი (როგორც, მაგალითად, ალ. ჭავჭავაძის შესახებ) ანეკდოტებია მოყვანილი, და გადავიდეთ მეტად საოხუნჯო საგანზე—ბ-ნ მთაწმინდელის «აზრზე» ჩვენის ახალ მწერლების შესახებ. ეს მეტად სასაცილო და საინტერესო საგანია.

დავიწყოთ აკაკიდამ....

«ამ ბოლოს დროს, ამბობს ბ-ნი მთაწმინდელი, „თვით ჩემი მკიცხველი", აკაკი ისეთ წერტილამდის ავიდა, ეს ისეთი მელექსეობის დიდებით შეიმოსა, ამის ხალხმა პოეტურმა ნიჭმა და ძალამ ისეთი უძლიერესი და უშესანიშნავესი ფრთები შეისხა, იგი ისეთი მარტივი და მკაცრი ღრმა გამომეტყველ-გამომხატველად გარდიქცა, რომელსაც არამც თუ მე, არამედ ამისთანა განვითარებულმა და განათლებულმა მწერალმაც კი, როგორიც ანტონ ფურცელაძე ბრძანდება, ამანაც კი შენიშნა 1863 წ. «ცისკარში.»

ქება და დიდება ორივეს, ბ-ნთ ზ. მთაწმინდელს და ა. ფურცელაძეს, რომ მათ ასე ცხადად დაინახეს აქლემი, მაგრამ სირცხვილი ბ-ნ აკაკის, რომ იგი „თვით ბ-ნ მთა წმინდელის მკიცხველი" ყოფილა. ამისთანა უსამართლობას არ მოველოდით ბ-ნ აკაკისაგან, მით უფრო, რომ იგი უკვე შენიშნული ყოფილა 1863 წელსა. მაგრამ რას არ იზამს დროთა ვითარება?! წარმოიდგინეთ, მაგალითად, მკითხველო, რომ ბ-ნ აკაკის, რომელიც ასე «მარტივ-მკაცრ-ღრმა-გამომეტყველ-გამომხატველი» ბრძანდება, რა საშინელი სენი სჭირვებია თურმე?!.

„მეცხრამეტე საუკუნის კაციო, ამბობს ბ-ნი მთა წმინდელი ბ-ნს აკაკიზე, ხშირად ძველის-ძველად ყოფილს თორნიკეებში დახტის, ბაგრატებში, ციხეებში, კლდეებში, ათონის მთაზე და ხშირად იმათ თითქო პოემებსაც უძღვნის!..."

ბ-ნი მთაწმინდელი ამას დიდ დანაშაულებად უთვლის... რაღა გავაგრძელოთ! «ქურციკათ მაღლა მხტომელათ» გადაქმნილა ჩვენი საყვარელი პოეტი და ამდენ ხანს ზ. მთაწმინდელის გარდა არავის შეუნიშნავს ეს ახირებული მოვლენა...

***

რასაკვირველია, დიდის საყვედურის და განკიცხვის ღირსი იქნებოდა ბ-ნი აკაკი ზემო-მოყვანილ ნაკლულევანებათა გამო, რომ სხვა ჩვენი მწერლები მასზე უკეთესნი იყვნენ ამ მხრით. საუბედუროდ, ვერც ერთი ვერ ამართლებს ბ-ნის მთა-წმინდელის იმედს! აი, მაგალითად, ბ. ნიკოლაძე!.. ნიჭიერი კაციაო, იწონებს ბ-ნი მთა წმინდელი, მაგრამ ჩვენ, მთა-წმინდელმა, «თითქმის უკანონოდ

---

ნურც დამძრახავ, ნურც გამკიცხავ:
სიყვარული ძნელიაო!

სჩივის თავის დაუძლურებას სიყვარულისაგან; უსაყვედურებს სატრფოს, რომ მან იგი სხვაზედ გასცვალა და უიმისოდაც წყლულს გულს არსების ძალა გამოაცალა:

ქალავ ჰხედავ ჩამოვდნი, და
თავი მოგიხელებია;
ჩემი გული შენ მოგიკლავს,
სხვისა გაგიმთელებია.

სჩივის იგი, რომ სატრფოს ხანგრძლივმა ლოდინმა სრულიად დაუფრთხო ძილი; ბევრმა ფიქრმა და დარდმა უწყალოდ დაკოდა მისი დატყვევებული გული და ღრმა და განუწყვეტელმა სევდამ მისი თმა სიბერის ნიშნით, ჭაღარით შემოსა:

ქალ, შენის მოლოდინითა
თვალს ძილი მოსდის აღარა;
თმა გამითეთრდა და გული
ნაღველ-ტიალმა დაღარა!

ემუდარება მაღალს მთას, სთხოვს რათა მისცეს გზა, რომ გადიაროს იგი, ნახოს იქ თავის გულის საგანი, რომელიც სხვის საკუთრებად გარდაქცეულა და მოითხოვოს იქ თავისი დაკმაყოფილება:

მთაო, გადმიშვი, მაღალო!
რას ნისლი მოგიხვევია?
შენს იქით ჩემი საგულო
ცხოს ვისმე ჩაუხვევია!

იგი შესჩივის სატრფოს, რომ განცხოველებულს მისადმი სიყვარულს მისთვის ყოველი საქმე გამოულევია; განშორებით ცხოვრებას მისთვის მხოლოდ მწუხარება მოაქვს და უიმისობა, მარტოობა სიცოცხლეს უშწარებს:

შენ სანახავად მოვდივარ,
სხვა საქმე არა მქონია;
უშენობა და შორს ყოფნა
სიცოცხლე არა მგონია.

აღტაცებულია იგი სატრფოს მშვენიერებით, მისის მრავალ-კეცის სიკეთით და ამიტომაც უნებლიე თავში მოსდის, მადლობა უთხრას მის მშობელს და აღმზრდელს:

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვათ ხარატული ჯარაო;
მშობელი შენი ვაცხონე,
გამზდელი შენი ლალაო

გულში ჩავარდნია მას სიყვარულის ნაპერწკალი, რომელსაც ნებანებად დაუკავებია, მთლად მოუჯადოებია მისი არსება; სევდით და ფიქრით მოცული ჰკითხავს თავის მწარე ბედს, თუ რა სახსარი-და დარჩება თავის საშველად იმ არა სასურველ შემთხვევაში, თუ, ვინიცობაა, სანატრელი არ აღუსრულდა: თუ ვერ შეიქმნა თვისის სატრფოს მფლობელი:

ყორნის ნაღველი ხალხისგან
წამლად არს დასახულიო;
და თუ ის ხელში არ ვიგდე,
ვით გავიკურნო წყლულიო?

ასე მრავალ გვარად ჰხატავს ქართველი ხალხი სიყვარულს სატრფოსას და ამ გამოხატულობაში მე გაზვიადებულს არაფერს არა ვხედავ. ხალხს ჰჯერა, რომ სიყვარულს შეუძლიან თავის ნამსხვერპლს ადამიანს ყოველ გარეშე საქმეზედ გული აუცრუოს, გზა და კვალი აურიოს, ძილი დაუფრთხოს, მადა წაართვას, გულს კაეშანი აუშალოს; ხალხს ჰჯერა, რომ უიმედო სიყვარულს შეუძლიან ადამიანს გონება შეუსუსტოს, სიცოცხლე მოაბეზროს, სასოწარკვეთილებამდე მიაღწევინოს. ყველა ეს სხვა-და-სხვა გვარი მოძრაობა სულისა აუცილებელი, ჩვეულებრივი შედეგია ნამდვილის სიყვარულისა, და ჩვენ მხოლოდ ერთი გარემოება მეტად განვცვიფრებს: რა შემთხვევა გინდა ვაჟისა და ქალის დამოკიდებულებისა, არშიყობისა, რომ ხალხს თავის ლექსის საგნად არ გაეხადნოს. რას არ ამბობს, რას არ ნატრობს, რა ოცნებას არ ეძლევა! აქ შეუძლებელია ყველა ლექსების მოყვანა; მაგრამ ვისაც კი მათი გადათვალიერების შემთხვევა ოდესმე ექმნება, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს საარშიყო ლექსების სიმრავლე და მათი სხვა-და-სხვაობა. ზოგის ლექსის შინაარსად არის აღებული გულ-დაკოდილის ანუ შეყვარებულის ტირილი სატრფოს წინაშე; ზოგ ლექსში გამოთქმულია მხოლოდ ალერსი და ქება-დიდება, ვაჟის მიერ ქალის მიმართ; ზოგი ვაჟი თავის სატრფოს გულცივობას აყვედრის; ზოგში ორგულობას ჰსწამებს; ზოგში ნახვას ნატრულობს; ზოგში უიმედობას აცხადებს; ზოგში ნატრულობს იმ ჟამს, იმ წუთს, ოდეს იგი გახდება ღირსი თავის სატრფოს პირის-პირ მზერისა და მებრვე სხვა.

ალ. მირიანაშვილი

(შემდეგი იქნება)

მიილეთ მისი გარჩევა გრ. ორბელიანის ლექსებისა და კიდევ ვეკეირს, როგორ მოუვიდა ამისთანა წინ დაუხედავი საქმე...» ამ გვარისავე საქმე მოსვლია სხვებსაც. სხვათა შორის, ბ-ნს ილ. ჭავჭავაძესაც. ეს უკანასკნელი მოსწონს მთა-წმინდელს, მოსწონს, თუმცა, როგორც ამბობს იგი,

„მე ქაჯებისაგან არცა რას მოველი, მასთან არც გავშორი მქონია და არც მაქვს და თვით მისის ჟურნალ-გაზეთის საშუალებით ხშირად უმართლოთაც ულანძღივართ მე და უყვარვართ, რომ იმ გვარ ლანძღვას კიდევაც მივიღებ მათგან, მაგრამ მე მაინც ამას ყურადღებას არ ვაქცევ და ვიძახი იმას, რასაც მოვალე ვარ ვიძახო."

ხოლო რის მოვალე უნდა იყოს ყოველი ქართველი? ყოველი ქართველი, მთა-წმინდელის აზრით, მოვალეა აღიაროს, რომ

„ბ. ჭავჭავაძის ნაწამ, ელეგიამ, დედა და შვილმა, გლახის და სხვებმა ნამდვილი ნავალი აღძრეს ჩვენს ცხოვრებაში და ამ ნაწერებით ბევრს ახალ-გაზდობას გრძნობა ამაღლდა მოვიდა მოუწამლა გრძნობა."

არ გეგონოთ, რომ ბ-ნ მთა-წმინდელს ისეთი თქმა უნდოდეს, რასაც ამ სიტყვებით ამბობს: ამით ქება უნდოდა ეთქვა და დიდი ქება, მაგრამ ენამ უმტყუნა ბ-ნ მთა-წმინდელის სურვილსა. სწორედ რომ კარგი გალექსა ჭკრეში ბ. ჭავჭავაძის პოეზია ახალ-გაზდობაზე, თუ მართლა ამ ახალ-გაზდობას, როგორც ბრძანებს მთა-წმინდელი, „გ-ლწამლა, და მოუშხამა გრძნობა". მაგრამ ნუ გაჰკიცხავთ ბ-ნს მთა-წმინდელს!.. ის მხოლოდ ტიტინებს, ეს რა გამოვა ამ ტიტინიდამ, ეს ხომ მისი საქმე არ არის. სადაც ქება უნდა, იქ ძაგება გამოდის და სადაც გაკიცხვას სცდილობს, იქ ქება ამოშყობს თავს... ერთის სიტყვით, ენა მისი გონებას მისას არ ემორჩილება და სიტყვა სურვილს ჰღალატობს!..

* *

მთელი წიგნი უნდა ამოსწეროს კაცმა, რომ დაანახვოს მკითხველს ყველა ის სიმტკნარე, რაც მოთავსებულია შიგ. მაგრამ ამოწერილიც საკმაოა სანიმუშოდ, თუ რა „მწირალია" ბ-ნი მთა-წმინდელი და რა «სიუხვით» გამოდის იგი სხვების გასაწიოველად. მართლა რომ მაინც ცხოვლებელი ჩვენი მდგომარეობაა! განხორციელებული უსუსურობა სხვისის ბრძენობის, ერთი-შესახებელი უმეცრება—ფილოსოფოსობას, გაუნდელი, აზრ-ბაზნე უცოდინარი, სოფლის თავის-თავზე ჭკუიანობა, ელდა მთახვდება—პუბლიცისტად და ყველანი ეს სულთი ავად-მყოფები ერთიმ და იგივე ავად-მყოფობით, სხვანი სხვა მწერლებს, სხვებმაინ და ბევრი მარტო რადგან უფრო-ბოლო წერილებს, და ხალხს მისუსურ გონებას საზოგადო მაგიერ, ამდენი ხელში სახელის, გზა-კვალს უზნეობას და საზოგადოებას ყურს უსუსურს ახალ-თაობას... ეს თუ ეს სამწუხარო მოვლენა იმდენად შესანიშნავი არ არის, რომ დაგვაფიქროს ამ ბოლოს დროს მაინც ეს იქცეოდა ბევრ გეყოს, ეცემიო რამე წამალი ამ წყლულისაგან გადასარჩენად?.

ილ. ხონელი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ყვირილა**, 15 მაისს. ბათუმიდამ მომავალ მგზავრთა მატარებლით გამოიარა მათმა ბრწყინვალებამ კავკასიის მთავარმმართებელმა დონდუკოვ-კორსაკოვმა. დ. ყვირილაში დახვდნენ სხვათა შორის შავი-ქვის მრეწველნიც, რომელთაც მიართვეს თხოვნა მათ ბრწყინვალებას. თხოვნის შინაარსი დაახლოებით შემდეგი იყო: „ჩვენთვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენდა იმ ადგილების გამოკვლევა და ცნობაში მოყვანა, სადაც შავი-ქვის მადნებია. მარშან აქ რომ ბრძანდებოდით, თქვენო ბრწყინვალებავ, აღგვითქვით, კომმისიას გამოვიგზავნითო და მართლაც თქვენ მიერ დანიშნული კომმისია უკვე შეუდგა მუშაობას.

„მაშინაც გთხოვეთ და ახლაც გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, აღმოგვიჩინოთ შემწეობა მადნებიდამ შავი-ქვის გადმოზიდვაში; გზები ძალიან წამხდარია და ამისათვის ქვის გადმოზიდვის ქირამ ძალიან აიწია; გთხოვთ იშუამდგომლოთ სადაც საჭიროა, რკინის გზა გაიყვანონ ს. ჭიათურამდის.

„ყვირილის რკინის გზის სადგომში არა გვყოფნის „პლატფორმები" ქვის დასაყრელად, გთხოვთ უბრძანოთ მოუმატონ, გაავრთოვონ ეზოები ქვის დასაყრელად, და რკინის გზის ტოტები ვაგონების დასატვირთად".

მათი ბრწყინვალება დაჰპირდა რკინის გზის გაყვანას. „თუ დაგვიანება დაგვიტყუე, უმაღლესს მთავრობას ვთხოვ მოგვცენ 250,000 მ. გზა-ტკეცილის გასაყვანად, რომელიც იმედი მაქვს, ერთ წელიწადში გაკეთდებაო. მე კარგად ვიცი თქვენი მდგომარეობა უგზოობისა გამო და ბევრს ვცდილობ, რაც შეიძლება, მალე გაკეთდეს ან რკინის გზა, ან გზატკეცილიო,"—ბრძანა მთავარ-მმართებელმა. რაიც შეეხება „პლატფორმე"-ბის და თვით სტანციაში რკინის-გზის ტოტების მომატებას, მათმა ბრწყინვალებამ იმწამსვე დეპეშით უბრძანა ამიერ-კავკასიის რკინის-გზის უფროსს, რომ შავი-ქვის მრეწველთა თხოვნა საჩქაროდ შეასრულეთო. ხალხმა მათ ბრწყინვალებას დიდი მადლობა მოახსენა მამობრივ მზრუნველობისათვის.

---

**ოზურგეთი**, 13 მაისს. ოზურგეთში, როგორც მოგეხსენებათ გაზეთებიდამ, წარსულ წელსააშენეს აბრეშუმის ჭიის გამოსაყვანად სახლი, სადაც ბ. ქადიანმა მრავალი ჭია გაზარდა და პარკებიც ბევრი დაჰკრა მას ბოლოს. ეს სახლი ეხლა, როგორც ამბობენ, გურიის სოფლის სკოლების საკუთრებას შეადგენსო. მთავრობის მოწოდებით აქ აპრილის 6-7 რიცხვებში ოცზე მეტი სოფლის მასწავლებელნი შეიკრიბნენ ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრიდამ, ესენი ოზურგეთში სამს დღეს დარჩნენ და ამ დროს განმავლობაში ისმენდნენ ლექციებს აბრეშუმის ჭიის მოვლასა და მოშენებაზე; ამ ლექციებს კითხულობდა ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების დირექტორის თანაშემწე.

ამ ჟამად ამ სახლში ჭია გამოიყვანა და ზრდის ერთი სამოქალაქო მასწავლებელთაგანი. ბ-ნ ქადიანის შემდეგ ბევრს მადა გაეხსნა და მოჰკიდეს ხელი აბრეშუმის ჭიის მოვლასა და მოშენებას.

---

**ს. საქობო**, 6-ს მაისს (სიღნაღის მაზრა). ერთ თვეზე მეტია, რაც შირაქიდამ დაიძრა თუშების ცხვარი და გაემგზავრა ალვანისკენ. იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ უწყინარმა, მშვიდმა მცხვარმა პატრონითურთ უვნებლად და მშვიდობით გაიაროს ეს შორეული გზა. გზაზე ათას გვარი უბედურობა თანა სდევთ მეცხვარე თუშებს. უთვალავის საბალახოს ფასი ნება-უნებურად უნდა გადუხადონ ხოლმე იმ სოფელს, რომლის ბოლოსაც მათ მოუხდებათ მცხვრის შესვენება. საბალახეს ჯანი გაჰკარდეს, გაება უფრო ის არის, რომ ზოგიერთა სოფლელების თავ-გასული მოქმედება იქამდის მიდის რომ უბედურებას მოახდენს ხოლმე.

ამ მაისის პირველს ს. საქობოს ბოლოს მოხდა შესაზარი მკვლელობა. მიმავალ მეცხვარე თუშებს საქობოს ბოლოს დაეყენებინათ ცხვარი შესასვენებლად. ეს შეეტყოთ საქობოელებს და ჩასცვივნოდნენ თუშებს. „ჩვენ ყორუდში ცხვარი რად დაგიყენებიათო". მოედოთ შური საქობოელებს. თუშები რას ეტყოდენ, მაშინადვე გამოეცხადებინათ, რომ საბალახეს გადვიხდითო. საქობოელებს ეცოტავნათ საბალახე და დაეწყოთ ჩხუბი თუშებთან. ჩხუბი როგორც იყო გაეთავებინათ და ის იყო საქობოელები სოფელში დასაბრუნებლად მოემზადნენ, ამ დროს მივარდნილიყო ცხენ-და-ცხენ მოჩხუბართან ერთი საქობოელი, ზ. ფხოველაშვილი, და ხელ-ახლად ჩხუბი აეტეხნა. ფხოველაშვილს სარი სჭეროდა ხელში და ერთ ახალ-გაზდა მეცხვარე თუშისთვის თავში დაეკრა. თუში მაშინვე წაქცეულიყო. საქობოელებს, რომ დაენახათ მომაკვდავი თუში, მაშინვე სოფლისკენ დაბრუნებულიყვნენ. ფხოველაშვილი თან წამოჰყოლოდა. მეორე თუშს შეეყენებინა გამარჯვებული საქობოელი, მეცხვარულის გოთით (ჯოხით) ჯერ ცხენი წაექცია და მერე ზედ-მჯდომი ერთის დაკვრით იქვე მოეკლა.

თუშმაც სულამომდის-და იცოცხლა. სამის დღის შემდეგ თუში საქობოშივე დამარხეს. სადაური სად! ვინ იცის, ნათესავები როგორ მოელოდნენ უბედურ მსხვერპლს. მოხუცის თუშის ქვითინიდამ ცხადადა სჩანდა, რომ უბედური მოღერებული თუში გამზადებული ყოფილიყო დასანიშნავად, მაგრამ ვინ დაასცალა, ქიზიყში სულ უბრალოდ ბოლო მოეღო.

ი. კახელი

---

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

სალისბიურმა ამ დღეებში გამოილაშქრა გლადსტონის წინააღმდეგ ირლანდიის საქმის გამო. სალისბიურს ჰსურდა თავის მკაცრის და მრისხანე სიტყვით ერთბაშად დაემარცხებინა გლადსტონი და ამის თანამოაზრენი თავისკენ მიემხრო, მაგრამ რომ იტყვიან: „რასაც კაცი თავის თავს უზამსო, იმას მტერი არ უზამსო", სწორედ ისე მოუვიდა სალისბიურისაც: არამც თუ დაამარცხა ვინმე და ვინმე მოიმხრო, პირ იქით, თვითონვე თავის-თავი დაამარცხა და თავის თანამოაზრენიც კი გარშემო შემოიფანტა. მართლა და შესანიშნავია სალისბიურის სიტყვა. მოგვყავს ეს სიტყვა ისე, როგორც გაზეთი «Новости» გადმოგვცემს.

მარკიზ სალისბიურის სიტყვა ჭეშმარიტად რომ შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელიაო,—ამბობს გაზეთი, და ჩვენ კარგად გვესმის იგი გულის წყრომა, რომელიც ამ სიტყვამ აღსძრა ლიბერალების დასში. თვითონ სალისბიურის მომხრეთაც, კონსერვატორებს, ძალიან ეწყინათ, რომ სალისბიურმა გლადსტონს ოინბაზობა და თვალთ-მაქცობა შესწამა და თანაც დაუმატა, ვითომც გლადსტონს, ამ ერთს უკეთესს და პატიოსან სახელმწიფო მოღვაწეს, ინგლისის ერის მოტყუება და მის სახელმწიფოს დამხობა ჰსურსო.

თვითონ ირლანდიელებისთვის სალისბიურის უფრო მკაცრი და უღირსი სიტყვები უძღვნია.

ირლანდიელებიო, უთქვამს ორატორს, ცალკე ერს არც კი შეადგენენო; ირლანდიელები ისევე თანაგრძნობისა და დანდობის ღირსნი არ არიანო, როგორც აფრიკის მცხოვრებნი, გოტენტოტებიო და...; ირლანდიელნი ბარბაროსნი არიანო, რომელთაც მხოლოდ დანისა და დამბაჩის ხმარება იციანო. მკაცრი, შეუბრალებლად—სასტიკი პოლიტიკა—ერთადერთი საშუალებაა, რომ ირლანდიაში საბოლოოდ მოისპოს ყოველი ცდა და სურვილი პოლიტიკურის თვით-მყოფელობისაო. კრომველი ძალიან გულ-მოწყალებით ექცეოდა ირლანდიელებსაო. გლადსტონი 1500 მილლიონ მანათს თხოულობს ირლანდიელების მამულების შესასყიდადაო, მე კი ვგონებო, უთქვამს სალისბიურის, და უკეთესიც იქნებოდა, ეს ფული იმაზე მოგვეხმარებინა, რომ ირლანდიელები სრულიად კანადაში, ჩრდილოეთ-ამერიკაში გადაგვესახლებინაო. მაშინ ირლანდიელების სოციალური ყოფა-ცხოვრება მსწრაფლ და საუკეთესოდაც შეიცვლებოდაო. „გალესეთ ხმლები, ბრძოლის დღე კარს მოგვდგომიაო!"—ასე გაუთავებია თურმე სალისბიურის თავისი სიტყვა.

ეტყობა სალისბიურს მოსვენებას არ აძლევს ბისმარკის დიდება! მართლა და სალისბიურის სიტყვა ძრიელ გვაგონებს ბისმარკის სიტყვას პოლიაკების შესახებ. მხოლოდ ერთი დაჰვიწყებია სალისბიურს: რაც შეიძლება გერმანიაში, ის შესაძლო არ არის ინგლისში.

* *

მოსკოვის ერთ ახლო-მახლო სოფელში გაზეთ «Современныя Извѣстія»-ს კორრესპონდენტს ერთი უცნაური ავად-მყოფი ქალი აღმოუჩენია. ამ ქალსა მთელ ტანზედ რქის მაგვარი კოჟოჟები თურმე აყრია და მთელ სოფელში ამ უბედურსა «რქიან ქალს» ეძახიან. ამ უცნაურს ავად-მყოფს არც სიარული შეუძლიან თურმე, არც წოლა და არც ჯდომა. ორი ჯოხი უდგა მხრებში, დაყრდნობილია ზედ და მხოლოდ ფეხის თითებს ოდნავ აკარებს დედა-მიწას, და აი ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც ამ გვარ ტანჯვაში ატარებს თურმე სიცოცხლეს. ეს ავად-მყოფი მოსკოვის ახლოა, გაზეთებში რამდენჯერმე ყოფილა ამაზედ ცნობა და აი აქამდინ შველა არსაიდამ ჰღირსებია ამ უბედურსა. ეს გარემოება საბუთს აძლევს გაზეთ «Новости»-ს, უსაყვედუროს მოსკოვის მსწავლულ ექიმებსა.

სამწუხაროა,—ამბობს გაზეთი, რომ ჩვენს მსწავლულ ექიმებს ცნობის-მოყვარეობა არა აქვთო და სრულიად ყურს არ ათხოვებენ იმ გვარ მოვლენას, რომლის გამოკვლევა მათს უმთავრესს მოვალეობას უნდა შეადგენდესო.

ჰიპნოტიზმის გამოკვლევას და შესწავლას არა კადრულობენ ჩვენი ექიმები, უცნაურ მოვლენას ბუნებისას საქვეყნოდ აცხადებენ გაზეთები და ექიმები-კი ყურადღების ღირსად არა სთვლიან ამ გვარ მოვლენასაო. „დიაჰ, მეტი საქმე არა გვაქვსო,"—გაიძახიან მსწავლული ექიმები, რომ ჩვენი დრო და ცოდნა მაგისთანა სისულელეს მოვანდომოთო! ყველა ეს საკვირველი და უცნაური მოვლენა ბუნებისა უსაქმო გაზეთის მოღვაწეებისთვის მიგვინდვიაო, ჩვენ კი მაგისთვის არა გვცალიანო".

მართლა და რად მოიცალონ მსწავლულმა ექიმებმა ამ გვარის ავად-მყოფისთვის, როგორც უბედური „რქიანი ქალი" ყოფილა. ექიმები მხოლოდ მაშინ შეიწუხებენ ხოლმე თავსა, როცა იმისთანა ავად-მყოფთან მიიწვევენ, საცა კარგს გასამჯელოს შეუძლიანთ გამორჩნენ. აბა ღარიბ სოფლის ავად-მყოფს რა ებადება. კაც-მოყვარეობა და მეცნიერება კი ზოგიერთს ექიმებს ყურს ძნელად შეაბერტყინებს.

---

### შენიშვნა წიგნების გავრცელებაზე.

ხუთშაბათის ნომერში პატარა შენიშვნა იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების გამო, რომ არსად იშოვება გასასყიდლადაო და იმ მიზეზით, რომ ერთი პირი, რომელსაც შენახული აქვს, ამ წიგნებს არავის ურიგებს გასასყიდლადაო.

ამ სტრიქონების დამწერს ეხება ეს საქმე და ამიტომ მსურს გამოვრკვევა. ორი მიზეზია ამ წიგნების მაღაზიაში მიუცემლობისა.

პირველი ისა, რომ ვისაც ამ ჟამად შენახული აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები და მის გამომცემელთა დაბეჭდილი სხვა წიგნები (მეფე ლირი, შექსპირისა, ანტონოვის თხზულებანი და ქართული ანდაზები), ის პირივალდებული არ არის წიგნების მაღაზიებში არიგებდეს და თვალ-ყურს ადევნებდეს მის გაცემ-გამოცემაში. ამისი ვალდებულება ზემოხსენებულ გამომცემლების საერთო საქმეა და არა სათვითაოდ ვისაც აბარია. მაშასადამე, ბრალი ერთს პირს კი არ ედება, წიგნების შემნახველს, არამედ ყველას, ზემოხსენებულ წიგნების გამომცემლებს.

მეორე მიზეზი. თუ ამ შემნახველს პირს თავის გულ-კეთილობით და თავის პასუხის გებით უკისრია წიგნების მაღაზიებში მიცემა გასაყიდად, მაღაზიის პატრონებთან ანგარიშების გამო მობეზრებულა და უსიამოვნება უნახავს.

ჩვენში წიგნის მაღაზიებთან საქმის დაჭერა სწორედ ტანჯვაა და წვალება. ყოველ მოვაჭრეს წესადა აქვს წელიწადში რამდენჯერმე ცნობაში მოიყვანოს თავისი ანგარიშები. დადებული დრო აქვს, რომ ამა და ამ ხანში მისაცემი, გადასახადი ვალი უნდა მივცე და საყიდელი უნდა ვიყიდოო. ჩვენი წიგნის მაღაზიები სულ სხვას ჩადიან: როდესაც წიგნი გამოელევათ, თხოულობენ, წიგნები გამოგვიგზავნეთო, და როდესაც სთხოვთ გაყიდულის ფულსა, ამდენს გატარებენ, ამდენს კადას გამოგიცვლიან, რომ ბოლო არ ედება და მობეზრებული თავს ანებებ. განა არ შეეძლოთ რომ წელიწადში რამდენიმე კადა დაედვათ, ვთქვათ სამ თვეში ერთხელ, თავის დამდეგს ანგარიში ეჩვენებინათ გაყიდულისა და დარჩენილისა. მაგრამ სად არის? წელიწადებს ატარებენ ¿ ზოგჯერ ასეთი შემთხვევაც არა იშვიათიც ყოფილა, რომ მაღაზიის პატრონს უთქვამს ფული არა მაქვსო გაყიდული წიგნების ფული გადვიხადოვო და სხვა წიგნები წაიღეთო. აგიკიდნიათ ეს სხვა წიგნები და ხელ-ახლად ისევ ის ხათაბალა დაგმართებიათ სხვა წიგნის მაღაზიებთან. ხდებით ამ მაღაზიების მებარგულედ ჰკითხეთ ყოველ წიგნის გამომცემს, ვისაც თავისი წიგნის

მაღაზია არა აქვს, და ნახავთ, რა ჩავილსაც გაიგონებთ. წიგნის მაღაზიებს გარდა პატარა ქალაქებში და სოფლებში მიაქვთ ხოლმე წიგნები გასაყიდად, ესენიც იმ მაღაზიების კვალზე მიდიან. წიგნის პატრონმა, რომ ხუთჯერ წერილი გაუგზავნოს და სთხოვოს ანგარიში, პასუხს არ გაღირსებენ, ფულის გამოგზავნაზე ხომ რაღა უნდა ვთქვათ. დღევანდლამდე მხოლოდ ერთი სვინიდისიანი წიგნის მაღაზიის პატრონი ქუთაისისაა, ბ. ვარლამ ჭილაძე. მაგრამ ერთი და კენტი რას იზამს ამდენ უპირო და არა სანდო წიგნის გამყიდველებში.

ძალიან სამწუხარო ამბავია ესა და ძალიან აბრკოლებს წიგნის გაჭრობის და მოფენის საქმეს. არამც თუ ამას, თვით წიგნის გამომცემლობასაც.

ამიტომ ამ მიზეზებით თავ-მობეზრებული გამომცემელი, ან წიგნის გავრცელების მსურველი (მეტადრე თუ დიდი ხანი უვარჯიშნია მაღაზიებთან და გამყიდველებთან მიწერ-მოწერაში და საქმის დაჭერაში) კმაყოფილდება თითო ორ სანდო მაღაზიას და ამბობს, ჯანი გავარდეს, დეე ეს წიგნები ასე ეყაროს და ანგარიში ვიცოდე, ვიდრე პასუხის გებაში ჩავარდეო. გამომცემელს, ვისაც ხალისი ჰქონია წიგნების ბეჭდვისა, ერთიანად მუჭით ფული დაუხარჯავს, იქნება კალად აღებულიც იმ იმედით, რომ ხალხსაც სარგებლობას მივცემ, ფულსაც დავიბრუნებ და შრომის ფასსაც ცოტაოდენს ვირგებო. წიგნის მაღაზიების უთავურად და ზოგჯერ უსვინიდისო საქციელით ხალისი წახდენია, კალი დასტეხია და სასურველ განზრახვაზედ, გამომცემლობაზედ, ხელი აუღია.

შორადამ მაყურებელს, წიგნის ყიდვის მსურველს, რასაკვირველია, ესეები არ ეცოდინება და მაღაზიის პატრონი წიგნის უქონლობაზე რასაც ეუბნება მყიდველს, მას მართალი ჰგონია. არ გვაძლევენ წიგნებსაო და შინ აღპობენო. წიგნის მსურველმაც უნდა დაუჯეროს და აი გაზეთში საჩივარი ისმის. მაგრამ აბა დაუკვირდეს მკითხველი. წიგნი რო დაბეჭდილა, შესანახად არ დაბეჭდილა, მაშასადამე გამომცემელს სულით და გულით სურს მისი საჩქაროდ გაყიდვა. მეორე, მაღაზია იღებს სარგებლობას მანეთზე ორ შაურადამ აბაზამდე. სად უნდა იყოს დაბრკოლება. ცხადია რომ იმ მხარეზეა დაბრკოლება, რომელიც ანგარიშს არ სწმენდავს, ესე იგი წიგნის მაღაზია.

სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო, რომ ჩვენი მაღაზიის პატრონები თავის ნამდვილ დანიშნულებას, ესე იგი წიგნების გაჭრობის საქმეს, წიგნების გავრცელების საქმეს ასე ხელს უშლიან და დახმარების ნაცვლად იმდურებენ ჩვენს გამომცემლებსაც და წიგნის მყიდველებსაც.

შეიტყონ და გაიგონ, რომ ყოვლადგვარი გაჭრა: მეწვრილმანე, ჩაისა და შაქრის გამყიდავი, ბაყალი, ყველა ესენი ათასებენ ალებ-მიცემაში ნდობას. ალებულს მიცემა უნდა უეჭველად დანიშნულ ვადაზე. თუ არა და აბრუ უტყდება, აღარავინ ანდობს არც ფულს, არც საქონელს. ჩვენს წიგნის მაღაზიების პატრონებს წიგნის პატრონები, გამომცემლები—მაჩანჩალად მიაჩნიათ, გვინდა მივცემთ ფულსა, გვინდა არ მივცემთო; გვინდა ამ წელს მივცემთ, გვინდა ათის წლის უკანაო და თუ გვინდა ათის წლის შემდეგაც არაო, რადგანაც „დავნოსტი“ გასული იქნებაო.

აი რა სამწუხარო მდგომარეობაშია ჩვენი წიგნის გავრცელების საქმე ამ წიგნის მაღაზიებისა და გამყიდველებისაგან და რა წვალებაშია წიგნის პატრონი.

ერთი პირი.

## უცხოეთი

**გერმანია.** საშინელი უბედურება ეწვია გერმანიის ერთს ქალაქს კროსსენს. 2 მაისს დაჰბერა გრიგალმა და დიდ ძალი ხალხი იმსხვერპლა. გრიგალმა მოჰგლიჯა სამრეკლო მირიანად, გადაახრუნა ჰაერში და წვერი სამრეკლოსი დაეცა ერთის რესტორანის ბანს, გახვრიტა ბანი და სარდაფამდე ჩავიდა. რესტორანში 7 კაცი მოკლა და დაჰზიანა. ყველა სახლების ფანჯრები გრიგალმა მტვრად აქცია. გრიგალი ოთახში თურმე შეესვოდა ხოლმე, მებელს აიტაცებდა და მაღლა ატრიალებდა და ამტვრევდა. თითქმის ყველა სახლებს სახურავები მოჰგლიჯა და დიდს მანძილზე გადაჰყარა მილეწილ-მოლეწილი. ერთი ყმაწვილი ამ ღვთის რისხვა ქარმა მოიტაცა ქუჩიდამ და სახლის კედელზე მიაჭეჭყა. დიდ ძალი ხეები ბაღებისა ძირიანად თურმე ამოჰგლიჯა, სასაფლაოზე ხეების გარდა, საფლავების ძეგლებსაც თურმე ჰგლეჯდა. გრიგალს მოჰყვა საშინელი შხაპუნა წვიმა და გაავსო წყლით ყველა სახლები, რომლებსაც გრიგალმა ბანი და სახურავები მოჰხადა. მდინარე ოდერზე ამ ქარმა ორი გემი დაჰლუპა. ერთს მათგანზე მთელი სახლობა იყო თურმე: მამა, დედა და სამი შვილი; ყველანი დაიღუპნენო.

**იტალია.** იტალიაშიაც ყოფილა გრიგალი. დიდ-ძალი უბედურება და ზარალი მიუცია ამ გრიგალს ქალაქ ლონატასათვის. 5 კაცი მოუკლავს.

**ავსტრია.** 4 მაისს კიდევ ავსტრიაში ყოფილა დიდი ქარი. ლინცის ქალაქისათვის დაუზერავს ამ გიჟს ქარს, ფანჯრების სვეტები და ხეები სულ დაუგლეჯია ძირიან-ფესვიანად. რამდენიმე კაცი დაიმტვრა და დაზიანდა, თუმცა სიკვდილით კი არავინ მომკვდარა.

**ისპანია.** ისპანიაში-კი დიდი უბედურება დაუბრუნებია ამავე ქარს. ქალაქ მადრიდში ეს ქარი ამოვარდნილა 30 აპრილს, 60 კაცი მოუკლავს, 117 მძიმედ დაჭრილი ერთს საავად-მყოფოში არიანო, 260 კაცი კიდევ სხვა საავადმყოფოში შეიყვანეს მოსარჩენადაო. ამათ გარდა ვინ იცის რამდენია ისეთი, რომელნიც თავიანთ სახლებში წვანან და თავს ირჩენენო. ვისაც კი ქუჩაში მოასწრო, ყველა დაახახირა და დასჭრა სახლებიდამ გადმოტყორცილის ბანებით, ერდოებითა და ბუხრის თავებით. დაჭრილთა შორის 70 პატარა ყმაწვილიაო, რომელთაც სკოლა გაუთავებიათ და მაშინ მოუსწრია ქარ-ბუქსა. ბევრი სასაცილო ამბავიც მოხდა ამ უბედურობის დროს: მეეტლენი ეტლებიდამ სცვიოდნენ, ქალებს შლიაპებს ჰგლეჯავდა თავებიდამ, კაცებს ერთმანერთს აჯახებდა. ერთს კაცს ხე მაშინ დაეცა თავში და მოკლა, როცა კარეტიდამ გამოვიდაო. მისი ლაქია, მეეტლე და ცხენები კი უვნებლად გადარჩნენო. ერთი ვაგონი გადმობრუნდა ქარისაგან და გასჭყლიტა პატარა ყმაწვილი, რომელიც ქუჩაში მირბოდაო. ამ ვაგონში 14 კაცი იჯდაო და ზოგმა რა იტკინა და ზოგმა რაო. ელვა საშინელი იყოვო და ანათებდა ცასაო, რომელზედაც მიჰქროდა მოღურჯო და წითელი ღრუბლებიო. სეტყვა ძალიან სხვილი იყოვო. ზოგი 1 გირვანქა მოვიდოდაო. ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები სულ დაწყვიტაო.

## გასართობი

**ჟურნალი ბრმათათვის.** საფრანგეთში გამოდის ორი ჟურნალი განსაკუთრებით ბრმათათვის—„Walentin Naüy“ და „Louis Braille“. პირველი ჩვეულებრივის ასოებით იბეჭდება. ამ ჟურნალში სულ ბრმების შესახები ამბები იბეჭდება და დანიშნულია ბრმათა თავ-შესაფარის მასწავლებლებისა, ბრმების ნათესავებისა და მშობლებისათვის. მეორე ჟურნალი იბეჭდება სხვილის ასოებით, იმისთანაებით, როგორც თვით მისმა გამომცემმა ბრმამ ლუი ბრაილმა შეადგინა. ეს ჟურნალი დანიშნულია ბრმების საკითხავად და სწორედ ბრმებიც კითხულობენ. ბრმების რიცხვი მარტო საფრანგეთში 40,000-მდე იქნება. ეს ჟურნალი ორის ნაწილისაგან არის შემდგარი. ერთი ნაწილი შეიცავს საჭირო ცნობებს და მეორე-კი - სალიტერატუროს. „Louis Braille“-ს კითხულობენ ყველა ბრმები, ამ ჟურნალს ხელისმომწერლები საფრანგეთშიაცა ჰყავს, ბელგიასა, შვეიცარიასა, გერმანიასა და კანადაშიაც. არც მეორე ჟურნალს „Walentin Naüy“-სა ჰყავს ცოტა მკითხველები. მას კითხულობს ყველა განათლებული კაცი, რადგანაც მასში იბეჭდება ისეთი ცნობები, რომელიც საჭიროა ბრმების მოვლისათვის, მორჩენისათვის და ერთობ სიბრმავის უბედურობის შემსუბუქებისათვის. ორივე ზემოხსენებული ჟურნალი მავრიკიე დე-ლა-სიზერანნის რედაქტორობით გამოდის. საკვირველი ეს არის, რომ ეს რედაქტორი დაბადებითვე ბრმა არის.

**ქაღალდის ბოთლები.** ამერიკელები ბევრს სხვა-და-სხვა ნივთებს აკეთებენ ქაღალდისაგან. მაგალითებრ, აკეთებენ ქაღალდის თვლებს ეტლებისათვის, ბოჩკებს და სხვანი. იქამდე შედის თურმე ხმარებაში ქაღალდით გაკეთებული საგნები, რომ ამ ჟამად ბოთლებსაც კი აკეთებენ ქაღალდებისას, რომელშიაც მეტად კარგა ინახვება თურმე ღვინო, არაყი და სპირტი.

**პირუტყვები სამჯავროს წინაშე.** ახირებული რამ არის ადამიანი. ბევრი რამ რაც დღეს სასაცილოდ მიგვაჩნია, უწინ დიაღ პატივცემული ყოფილა. უწინ, მაგალითებრ, ადამიანს ჰგულებია, რომ პირუტყვსაც კი აქვს გულის-ნება და ამიტომაც, როგორც ეტყობა, მათი მოქმედება განსაკითხველი ყოფილა კაცთა სამჯავროსაგან. აი ამისი საოცარი მაგალითები: ლენის ეპისკოპოსმა 1120 წ. შეაჩვენა და დასწყევლა მინდვრის თაგვები და ჭიები. 1386 წ. ფალეზში ჩამოარჩეს ღორი, რომელსაც ყმაწვილი მოეკლა. 1474 წ. ბაზელის სასამართლომ მამალს გადაუწყვიტა დაწვით სიკვდილი. ეს სიკვდილი იმიტომ გარდაუწყვიტეს, რომ მამალს აბრალებდნენ, ვითომ კვერცხი დაედო (?). 1499 წ. ბოვეს სასამართლოში ირჩეოდა ერთის ხარის საქმე, რომელსაც ყმაწვილისთვის ერჩოლა და მოეკლა. სასამართლომ გაამტყუნა ხარი და დარჩობა გარდაუწყვიტა. 1554 წ. ლაზანის ეპისკოპოსმა დასწყევლა და შეაჩვენა წურბელები, «რადგანაც თევზებისათვის ძრიელ მავნებელნი არიანო». თითქმის ამავე ხანებში მუტიანში დაარჩვეს ერთი ღორი, რომელსაც რაღაცა შეეჭამა. ყველაზედ საყურადღებოა ჭიების განსამართლება ოვერნის სასამართლოში 1690 წ. ჭიებს იცავდა მეტად განთქმული ვექილი. განსამართლება იმ რიგადა სწარმოებდა, როგორც საზოგადო დამნაშავეებს ასამართლებენ. სასამართლომ ჭიები დამნაშავედ იცნო და გარდასწყვიტა, ყველა დამნაშავე ჭიას ერთად თავი მოუყარონ და გასწყვიტონ.

## დეპეშა

17 მაისს

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია: ფლოტის აფიცრები აღარ დანიშნონ პოლიცმეისტერებად შემდეგს ქალაქებში: კრონშტატსა, სევასტოპოლსა. და ნიკოლაევში, და ვინც არიან, დარჩნენ მაგ თანამდებობაზე ვიდრე სხვა თანამდებობას მიიღებენ; სამერმისოდ-კი ხსენებულ თანამდებობაზედ უნდა დანიშნონ მარტო სამოქალაქო მოხელეები შინაგანთ საქმეთა სამინისტროსი.

გარეშე საქმეთა მინისტრი გუშინ პეტერბურგში დაბრუნდა.

**მოსკოვი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატრიცამ და მემკვიდრე ცესარევიჩმა ინახულეს „Маріинскій преіютъ“-ი და ცესარევიჩმა ამას გარდა საქალებო და სავაჟებო სასწავლებელი დაფუძნებული ქალაქისაგან სახსოვრად მის უმაღლესობის სრულ-წლოვანებისა. ორ საათზედ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და მისი უმაღლესობა მოსკოვიდამ ილინსკში წაბრძანდნენ ერთის დღით.

**ლონდონი.** საბერძნეთის ნაპირებს ალყას მაშინ ახსნიან, როცა სახელმწიფოებს მოუვათ ამბავი, რომ საბერძნეთი თოფ-იარაღს იყრისო. საზოგადოებათა პალატამ დაადგინა, რომ 1887 წ. დასასრულამდე კვლავ ძალი ექონიოს იმ კანონმა, რომლის ძალითაც აკრძალულია იარაღის ტარება ირლანდიაში: ირლანდიის შესახებ გლადსტონის პროექტის მიღება უფრო საიმედოთ შეიქმნა.

**ვენა.** დიდებულთა პალატამ ერთხმივ მიიღო კანონი ლანდშტურმისა მესამედ წაკითხვის დროს.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ამაღლება—22 მაისს, სულისწმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ თთვის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის

18 დღე კვირა. წმ. მოწამე თეოდოტე ანკირელისა, წმ. ალექსანდრესი და 7 ქალწულთა, წმ. დავითისა და ძმისა მისისა ტარიჩანასი. კათ. ერიკასი.

გენ. ლეიტ. კნორინგმა ტფილისში შეჰკრიბა პირველნი წოდებათა კაცნი ქართველთ ერისანი და სოფლელნი მამასახლისნი და ნებისამებრ იმპერატორის ალექსანდრე 1-სა გამოუცხადა: თავიანთ ნებით და ერთ-ხმად მიიღეს თუ არა სამუდამოდ ქვეშერდომობა რუსეთისა? 1801 წელს.

ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57—16. ტფილისში მზე ამოდის 4—28; ჩადის 7—27. მთვარე ამოდის 2—54 ნღ. ჩადის 3—41.

19 დღე ორშაბათი. მოწ. პატრიკისა. კათ. პეტრე ცელისტინისა.

დარეჯან დედოფლის რჩევითა და გავლენით ქართლი გაყოფილ იქმნა ბატონიშვილთა შორის 1793 წ. ჭეშმარიტი შუადღე 11—57—24. ტფილისში მზე ამოდის 4—28; ჩადის 7—28. მთვარე ამოდის 3—28 ნღ. ჩადის 4—44.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 მაისიდამ 1-ლ ივნისამდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | | 5 კაპ. | |
| წითელი პური 1-ის გარისხისა | | | $2\frac{1}{2}$ | » |
| » | » 2 | » | 2 | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | | $4\frac{1}{2}$ | » |
| » | » 2— | | 3 | » |
| » | » 3 | » | $2\frac{1}{2}$ | » |
